

თანამშრომლობითი ხარისხის გაუმჯობესება სსიპ ქალაქ თბილისის №98

საჯარო სკოლაში

ვერიკო ქურიძე

ქეთევან ქართველიშვილი

თამარ ფირცხალავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ვერიკო ქურიძე /ვ.ქურიძე/

ქეთევან ქართველიშვილი /ქ.ქართველიშვილი/

თამარ ფირცხალავა /თ.ფირცხალავა/

25.06.2017

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მასწავლებელთა თანამშრომლობითი ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

სწავლების პროცესში მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას, რაც წარმატებული სკოლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

აღნიშნულ ნაშრომს საფუძვლად უდევს პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიზანს წარმოადგენს 98-ე საჯარო სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობითი ხარისხის გაუმჯობესება.

სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობითი ხარისხის დონის განსასაზღვრად და შემდგომი ინტერვენციების შედეგების დასადგენად გამოყენებულ იქნა შერეული კვლევის მეთოდები: როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი. ჩატარებულმა კვლევამ გააუმჯობესა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სასარგებლო იქნება, როგორც 98-ე საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის, ისე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე ნებისმიერი ტიპის დაინტერესებული ორგანიზაციისთვის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მასწავლებელთა თანამშრომლობა, Lesson Study, პროფესიული განვითარება.

## Abstract

The present paper constitutes a practical research report that has been implemented within the framework of Master's Program in Education Administration of the Ilia State University for the purpose of improving the teachers' collaborative quality.

In the teaching process, the teachers' collaboration promotes professional development, which is one of the factors contributing to the success of school.

This thesis is based on the practical research methodology. The research aims to upgrade the teachers' collaborative quality in the Public School # 98.

Mixed research methods, both quantitative and qualitative data, were used to define the level of the teachers' collaborative quality in the school and determine the consequences of further interventions. The research has improved the culture of mutual cooperation.

The data obtained from the study will be useful for the teachers of the Public School # 98, as well as for other educational institutions and any type of an organization interested in these issues.

**Keywords that are to be searched:** Teachers' Collaboration, Lesson Study, Professional Development.

## მადლობა

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა კვლევის წარმატებით განხორციელებაში. პირველ რიგში, მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს ნათია ანდლულაძეს.

ასევე, მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის #98 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ გიორგი მომცელიძეს, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს, კვლევაში აქტიური მონაწილეობისათვის.